



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №11

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ა ა დ გ ი ნ ა:

**მუხლი 1.**

დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.**

მაღადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 იანვრის №05 დადგენილება.

**მუხლი 3.**

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	გამგებელი	2360
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგეობის სამსახურის უფროსი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული.	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე – უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	450
6	მთავარი სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	420
7	წამყვანი სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
8	სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
9	ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი-უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	350
10	ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	270
11	ჩაქვის სახანძრო ნაწილის უფროსი	500
12	დამხმარე მოსამსახურე - მძღოლი	370
13	დამხმარე მოსამსახურე - დამლაგებელი	350
14	ტექნიკური პერსონალი	250
15	ცვლის უფროსი	450

16	მეხანძრე	400
----	----------	-----